რეკომენდაციები მუქწიწვოვანი ტყის მართვისათვის

ნათია ანდღულაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის ბუნებათსარგებლობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

(მიმართულება: ბუნებათსარგებლობა (MBA)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით თარხნიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,

2015

სარჩევი

აბსტრაქტი 3

შესავალი 4

მუქწიწვოვანი ტყის აღწერა 5

ნაძვისა და სოჭის ტყეების გამოყენება 6

კანონმდებლობა..... 9

პოლიტიკა.....12

მეთოდოლოგია.....17

შედეგები.....18

მადლობა.....20

ბიბლიოგრაფია.....20

დანართი 1.....21

დანართი2.....22

დანართი3.....24

აბსტრაქტი

სატყეო სექტორში მნიშვნელოვანია ტყეების მართვასთან დაკავშირებით სხვადასხვა სექტორის ჩართულობა, მათ მიერ ცონდნის, გამოცდილების, კვლევების შედეგების გაზიარება, განსაკუთრებით საინტერესოა მეცნიერების რეკომენდაციები. იმისათვის რომ კვლევითი-საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სატყეო მიმართულებით ჩატარებული კვლევის შედეგები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესაბამისი უწყებების მიერ ტყის მართვისას გათვალისწინებული იყოს, აუცილებელია მათ შორის კოორდინაცია. სამაგისტორო ნაშრომის მიზანია ილიას უნივერსიტეტის სტუდენტური კვლევითი ჯგუფის მიერ მუქწიწვოვანი ტყის მართვისათვის შემუშავებული რეკომენდაციების დამუშავება ისეთი ფორმით, რომ შეეთავაზოს სამინისტროს. ის ეყრდნობა კვლევის შედეგების, მმართველი ორგანოების დებულებების, ეროვნული სატყეო პროგრამის და მის ფარგლებში მიმდინარე სამუშაო შეხვედრების ანალიზს.

ეკოლოგიური კვლევის ჯგუფმა შეადგინა რუკები, რომელიც ასახავს ნაძვის და სოჭის ტყეების რეალურ გავრცელებას და ასევე რუკები, რომელიც ასახავს ფართობებს თუ სად შეიძლება ისინი იზრდებოდნენ. ინფორმაციის შეთავაზება მოხდება სატყეო პოლიტიკის სამსახურთან კომუნიკაციის საშუალებით. მას შემდეგ რაც განსაზღვრული ჯგუფი განიხილავს მის სისწორეს და აქტუალურობას, შესაძლებელია მოეწყოს სამუშაო შეხვედრა ეროვნული სატყეო პროგრამის ფარგლებში უფრო ღრმა თანამშრომლობის მიზნით.